

აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

აკრედიტაციის ეროვნული საბჭო (შემდგომში საბჭო) არის საქართველოს კანონის - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული, სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან, პარიტეტულ საწყისებზე შემდგარი, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში - აკრედიტაციის ცენტრი) საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მონაწილეობს აკრედიტაციის სფეროს პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვასა და შემუშავებაში. აკრედიტაციის ეროვნული საბჭო წარმოადგენს საქართველოს აკრედიტაციის სისტემის ნაწილს.

მუხლი 2. მიზნები და ფუნქციები

საბჭოს მიზნები და ფუნქციებია:

- ა) აკრედიტაციის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა აკრედიტაციის ცენტრისათვის.
- ბ) საქართველოს აკრედიტაციის სისტემის ფუნქციონირებაში დაინტერესებული მხარეების ინტერესების წარმოდგენა.
- გ) საქართველოს აკრედიტაციის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების ინიცირება და განხილვა.
- დ) აკრედიტაციის ცენტრის სერვისების სხვადასხვა სფეროში გამოყენების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა.

მუხლი 3. შემადგენლობა, დანიშვნა და ვადები

1. საბჭო შედგება იმ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლებისგან, რომელთა ინტერესებიც დაკავშირებულია საქართველოს აკრედიტაციის სისტემის და აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობასთან. აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი.

2. საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება, რათა გამოხატონ პოზიცია საბჭოზე გამოტანილ საკითხებთან დაკავშირებით. აკრედიტაციის საბჭოს წევრი ვალდებულია 3 წელიწადში ხელახლა წარმოადგინოს საკუთარი წარმომადგენელი აკრედიტაციის საბჭოში.

3. საბჭოს წევრების მოწვევის საფუძველზე, სხვა პირებს შეუძლიათ დაესწრონ აკრედიტაციის საბჭოს სხდომას ხმის უფლების გარეშე, კონკრეტული განსახილველი საკითხის გარშემო სპეციფიური ცოდნის გაზიარების მიზნით ან ინფორმაციის წარმოსადგენად. მოწვეული პირების მონაწილეობა გაწერილ უნდა იქნეს სხდომის დღის წესრიგში.

4. პარიტეტის პრინციპის დაცვის მიზნით, საბჭო შედგება შემდეგი მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლებისგან (წევრებისგან).

ა) აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირები ან მათი ასოციაციები – 2 წევრი;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები (აკრედიტებული პირების მომხმარებლები) – 2 წევრი;

გ) კერძო სექტორი - 2 წევრი;

დ) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა - 1 წევრი

ე) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებები, კერძოდ: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - 1 მოწვეული წევრი თითოეული სამინისტროდან;

ვ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - 1 მოწვეული წევრი თითოეული ორგანიზაციიდან;

ზ) სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო - 1 წევრი;

თ) აკრედიტაციის ცენტრი - 1 წევრი.

5. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

მუხლი 4. საბჭოს ხელმძღვანელი

აკრედიტაციის საბჭოს ხელმძღვანელი აირჩევა საბჭოს წევრებისგან. აკრედიტაციის საბჭოს ხელმძღვანელი ჩაითვლება არჩეულად, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრების უმრავლესობა. საბჭოს ხელმძღვანელი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 5. სამდივნო

აკრედიტაციის საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს აკრედიტაციის ცენტრი. მდივნის მოვალეობის შესასრულებლად აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი განსაზღვრავს კონკრეტულ პირს.

მუხლი 6. პროცედურები

1. საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაცია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი.

2. სხდომაზე განსახილველად, საბჭოს წევრ(ებ)მა წერილობით უნდა წარმოადგინონ წინადადებები, სხდომის გამართვამდე 1 თვით ადრე. წინადადება მიღებული იქნება განსახილველად თუ საბჭოს ხელმძღვანელობა მხარს უჭერს მას.

3. საბჭოს ხელმძღვანელი, საბჭოს სამდივნოს დახმარებით ადგენს საბჭოს სხდომების განრიგს და ორგანიზებას უკეთებს საბჭოს სხდომების გამართვას.

4. საბჭოს წევრებს, საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხები უნდა მიეწოდოთ საბჭოს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 1 კვირისა, საბჭოს სამდივნოს მიერ.

5. საბჭოს სდომაზე განსახილველი დოკუმენტები გამოიყენება საბჭოს შიდა მოხმარებისათვის. დოკუმენტების ასლები შეიძლება გამოყენებული იქნას საბჭოს წევრ(ებ)ის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტზე არ არის დატანილი მინიშნება კონფიდენციალურობაზე.

6. საბჭო რეკომენდაციებს იღებს ერთხმად, კონსენსუსის საფუძველზე.

7. საბჭოს შეხვედრის შემდეგ, საბჭოს ხელმძღვანელი და სამდივნო ამზადებს სხდომის ოქმის პროექტს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც სამდივნო აგზავნის ელექტრონული ფოსტით საბჭოს წევრებთან. საბჭოს წევრებს შეუძლიათ წარმოადგინონ მოსაზრებები მიღებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. სხდომის ოქმი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მტკიცდება საბჭოს მომდევნო სხდომაზე. სხდომის ოქმი, ასევე შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას, რომელიც ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული, როგორც "დამატებული ჩანაწერები". "დამატებული ჩანაწერები" არ უნდა მოიცავდეს ახალ სამოქმედო საკითხებს. ოქმს ხელს აწერს საბჭოს ხელმძღვანელი და მდივანი.

8. აკრედიტაციის საბჭოს უფლება აქვს ინფორმაცია მიაწოდოს როგორც დაინტერესებულ მხარეებს, ასევე სახელმწიფო უწყებებს, ყველა საკითხის შესახებ, რომელიც შედის მისი კომპეტენციის სფეროში.

მუხლი 7. აკრედიტაციის საბჭოს სხდომების სიხშირე

1. აკრედიტაციის საბჭოს სხდომა იმართება წელიწადში ორჯერ. საბჭოს სხდომის გამართვის დრო, ადგილი და მასზე განსახილველი საკითხები მიეწოდებათ საბჭოს წევრებს საბჭოს სამდივნოს მეშვეობით.

2. აკრედიტაციის საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს ორი ან მეტი წევრის მოთხოვნის საფუძველზე, რის შესახებაც ისინი წერილობით მიმართავენ საბჭოს სამდივნოს.